საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2577
15/06/2022

2577-21-2-202206151324

შპს „ინნო ჯგუფს“
მის: დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფ. პანტიანი
ელ. ფოსტა: mailto:davitburnadze@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №12788 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფ. პანტიანში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად), ასევე საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი;
- ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთის სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საწარმოს სამუშაო რეჟიმის (144 დღე, დღე–ღამეში 4 სთ, ჯამში 6 თვე) გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ობიექტის წარმადობა, საათობრივად გადასამუშავებელი ნედლეულის მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, გენგეგმაზე დატანით, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის სრული ციკლის შესახებ (ნედლეულის ობიექტის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებიდან საბოლოო პროდუქტის მიღებამდე);
- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის საკითხი;

- არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობის და დროებით განთავსების ადგილის შესახებ;
- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების და გაფრქვევის წყაროების შესახებ;
- ნახაზი 3.1.1–ზე წარმოდგენილი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „სამსხვრეველას ოპერირების პროცესში მოსალოდნელია ხმაურის დონეების მატება, რომელსაც ლოკალური ხასიათი ექნება და გავრცელების არეალი ვერ მოახდენს შესამჩნევ ზემოქმედებას ფაუნაზე“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, იგეგმება ნავთობპროდუქტების მცირე რაოდენობით შემოტანა/დასაწყობება, შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით. გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია საჭიროებს სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებას. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის შემთხვევაში, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მახასიათებლების თაობაზე, საქმიანობის განხორციელების GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად) და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო